



ადმოსავლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

**ადმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა
მიმართვა ევროკომისიასა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს**

საქართველო-ევროკავშირის შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პროცესს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისთვის.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ქვეყანამ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ყველა იმ მიმართულებით, რომელიც გათვალისწინებულია ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით. საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმები ქვეყანას სთავაზობს განახლებულ შესაძლებლობებს მიგრაციული ნაკადების კონტროლის, დოკუმენტების უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით. თავშესაფრის და მიგრაციის პოლიტიკის რეფორმა ქმნის ღირსეულ პირობებს ლტოლვილების, რეადმისირებული პირების და ყველაზე დაუცველი კატეგორიების წარმომადგენლებისთვის.

სათანადოდ შექმნილი ინსტიტუტებისა და მექანიზმების მეშვეობით, სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა არალეგალური მიგრაციის პრევენციისთვის. თანამედროვე ინფრასტრუქტურის დანერგვის შედეგად მოხდა საზღვრის ეფექტიანი მართვის გაუმჯობესება, რაც ამცირებს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთის, ტრეფიკინგის და სხვა სასაზღვრო კრიმინალური ქმედებების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ საქართველომ მიაღწია პროგრესს ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით, რაც შემდგომ მხარდაჭერასა და ხელშეწყობას საჭიროებს.

ჩვენ ასევე ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ უვიზო რეჟიმი ხელს შეუწყობს ხალხთა შორის კონტაქტების გაღრმავებას, კულტურულ დაახლოებას, საქმიანი კავშირებისა თუ მეგობრული ურთიერთობების დამყარებას. საქართველოს მოქალაქეთა მნიშვნელოვან ნაწილს ექნება მეტი შანსი და მოტივაცია, რომ აღმოაჩინოს და შეიცნოს ევროპა, მის გარშემო გავრცელებული მითების გარეშე.

უვიზო რეჟიმის ამოქმედება მნიშვნელოვანად შეუწყობს ხელს საქართველოს მოქალაქეებში ევროპული მისწრაფებების გაძლიერებას. ისინი რეალურად იგრძნობენ საკუთარ თავს ევროპულ საზოგადოებაში ინტეგრირებულად, შესაბამისად გაიზრდება მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და თავის მხრივ, ისინი წვლილს შეიტანენ ქართულ-ევროპული ურთიერთობების განვითარებაში. აღნიშნული პროცესი, გრძელვადიან პერსპექტივაში, წახალისებს საქართველოში დემოკრატიული, ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

მიგვაჩნია, რომ უვიზო მიმოსვლის რეჟიმი იქნება საუკეთესო პასუხი იმ საგარეო გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დღეს ქვეყანა დგას. ეს არის საფრთხე ევროპეიზაციის პროცესიდან გადახვევისა და მოქალაქეთა შორის ევროსკეპტიციზმის გაღვივების. სწორედ ამიტომ, საქართველოს მოქალაქეებს სჭირდებათ დაინახონ ხელშესახები რეალური გამოსავალი ყველა იმ კრიტიკული დამოკიდებულების წინააღმდეგ, რომელიც ევროპისკენ არის მიმართული.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შესაძლებლობა, მთავარი წინაპირობაა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის წარმატებით განხორციელებისთვის.

ჩვენ უმორჩილესად ვთხოვთ ევროკომისიას, მხედველობაში მიიღოს ზემოთაღნიშნული არგუმენტები და მოუწოდოს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მხარი დაუჭირონ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის ამოქმედებას.

ასევე მოვუწოდებთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მხარი დაუჭირონ საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მინიჭებას.

ხელმძღვანელი ორგანიზაციები:

1. ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
3. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
4. ფონდი “კავკასიის ეკოლოგია“
5. ახალგაზრდული ალტერნატივა
6. ადამიანის უფლებათა ცენტრი
7. ჯანმრთელი ბავშვები
8. საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
9. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ”ელკანა“
10. საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
11. პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის საქართველოს კომიტეტი
12. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
13. მეწარმე ქალთა ფონდი
14. კვლევების ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
15. ასოციაცია „დეა“
16. ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“
17. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
18. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
19. ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი

20. ასოციაცია "გადავარჩინოთ მომავალი თაობა"
21. "საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი"
22. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
23. ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
24. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
25. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
26. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
27. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
28. „აგროსერვისი“
29. ანალიტიკური ცენტრი მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
30. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
31. ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაცია „ოქსფამი“
32. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"
33. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
34. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
35. ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი“
36. "კონსტიტუციის 42- ე მუხლი"
37. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი
38. საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"
39. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"
40. სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო
41. „საზოგადოებრივი დამცველი“
42. ჯანმრთელი სამყარო
43. ახალგაზრდები სამართლიანობისათვის

44. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი
45. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი
46. ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი
47. ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი
48. ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური ეზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
49. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
50. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
51. ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება
52. საერთაშორისო ფონდი „ლეა“
53. კავშირი "ეკოტექი"
54. "სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი"
55. ეკონომიკური პოლიტიკის და კვლევის ცენტრი
56. ასოციაცია "მერკური"
57. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
58. პედაგოგთა კავშირი "განათლება და სამყარო"
59. ჯუნორ ეჩივმენტი საქართველო
60. ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“
61. სათემო ფონდი "ადგილის დედა"
62. კავშირი გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
63. საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
64. ეთნოსთაშორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი
65. საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი
66. ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია "ახლებური ხედვა"
67. კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი
68. „კავკასიური მოზაიკა“

69. საქართველოს პრესის ასოციაცია
70. ასოციაცია "ათინათი"
71. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
72. უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი
73. კავკასიური სახლი - საქართველო
74. კოალიცია შინმოვლა საქართველო